ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4847520

ნომერი: AR1671849

თარიღი : 03.04.2019

გაცემის თარიღი : 04.02.2020

გაცნობის თარიღი : 05.02.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროსადგური ,,ახმეტელის თეატრი", მუხიანისაკენ მიმავალ გზაზე , ნაკვეთი 01/068 ; ქალაქი თბილისი , ქუჩა ხევძმარის , N 1 , (ნაკვ.1/8) ; ქალაქი თბილისი , შპს მუნიციპალური საწარმო , "თბილტრანსი"-ს N4 , ავტოპარკის ტერიტორიიდან ; ქალაქი თბილისი , შეშელიძის ქუჩიდან მუხიანში გადასახვევ გზასთან, შპს "ლოგოსის" და "თბილტრანსის" ავტოპარკის ტერიტორიებს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მამუკა არევაძე პ/ნ 56001003302
- ქ. თბილისი, გურამიშვილის N66ა, პირველი სართული

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 606759 (#1594822 14.11.2014)
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 12.04.2013

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა (საზოგადოებრივი-საცხოვრებელი)
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: კახაბერ მაჩაიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს"მეგობრობა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400015032

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს „გემა"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 400212471
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: მამუკა არევაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 56001003302

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 994.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 712.53
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 5814.71
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 1852.14
- .საოფისე ფართობი (კვ.მ).: 498.53
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 1158.95
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 514.1
- .სარდაფის ფართობი (კვ.მ).: 39.9
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 406.73
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 325.11
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1019.25
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 21000.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 17204.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 3795.6
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 43.7
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 36.8
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 6.9
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 704.55/959.19=0.7
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4454.87/959.19=4.6
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 171.93/994=0.2

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 3588045
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 4.10.2017

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 3674061
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 10.11.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა

თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
“სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საქართველოში სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ორგანიზებას, სამოქალაქო უსაფრთხოების ღონისძიებებს, სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების, სახელმწიფო რწმუნებულის უფლებამოსილებებს, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს. ამ კანონის მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვისათვის, ასევე, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის. ამავე კანონით გათვალისწინებულია სახელმწიფო სახელმწიფო ზედამხედველობას მიკუთვნებული ობიექტები, მათ შორისაა, მრავალფუნქციური შენობები და კომპლექსები. ასევე, კანონის თანახმად, სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესასრულებლად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში (ადმინისტრაციული წარმოების შესაბამის სტადიაზე) და მშენებლობადამთავრებული სახელმწიფო სახანძრო ზედამხედველობის ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების პროცესში. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან, ასევე, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 32-ე მუხლის პირველი პუნქტის ზ1 ქვეპუნქტიდან გამომდინარე, მშენებლობის ნებართვის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია, არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, როგორც სხვა ადმინისტრაციული ორგანო ჩართოს ადმინისტრაციულ წარმოებაში, გადაუგზავნოს მას, მის ხელთ არსებული დოკუმენტაცია და არქიტექტურული პროექტი შეითანხმოს დაფიქსირებული პოზიციის გათვალისწინებით. რაც შეეხება ადმინისტრაციულ საჩივარს, მოგახსენებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60 პრიმა მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ბათილად ცნობს მისი გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო საჩივრის ან სარჩელის შემთხვევაში – ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო. თუ თვლით, რომ სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები, მისი ბათილად ცნობის მოთხოვნით ადმინისტრაციული საჩივრით უნდა მიმართოთ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს, რის შემდეგად, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო განიხილავს საჩივარს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

გაითვალისწინეთ და შეასწორეთ № 4548448 გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზები.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.